ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ტყიბული 20 აპრილი, 2018 წ.

ოქმი N 2

2018 წლის 20 აპრილს ქ. ტყიბულში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველი შეხვედრა.

სხდომას ესწრებოდა 11 ადამიანი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. შოთა ჯინჯიხაძე - ს.ს.ი.პ. „ქ. ტყიბულის №6 საჯარო სკოლის" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზაზა გოჩელაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. იური ელიაშვილი - ს.ს. „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ტყიბულის ჰოსპიტლის დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
4. თამარ ცქიფურიშვილი - ს.ს. „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ტყიბულის ჰოსპიტლის ექიმი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
5. ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე - ა.(ა)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
6. ნიკა წიქრიძე - საქართველოს პარლამენტის წევრის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
7. ირინე ბერეკაშვილი - ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირის საჯარო სკოლის" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
8. ქეთევან გოცირიძე-ბრეგაძე - ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
9. ბორის გაბრიაძე - ა.(ა)ი.პ. „მეშახტეთა შრომის დიდების საქველმოქმედო ფონდის" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ზაზა ზოსიაშვილი.

სხდომა წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის მიმართულებების შესახებ;
3. ტყიბულის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრატქტრუქტურული პროექტების შესახებ;
4. სხვა მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით განსაზღვრულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, შეხვედრა გახსნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ ჩუბინიძემ, მან მოკლედ მიმოიხილა მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის მნიშვნელობა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს საბჭოს დებულებაში ცვლილებების პროექტი გააცნო ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწემ ზაზა გოჩელაშვილმა. მან მოკლედ ისაუბრა ცვლილებებთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, შოთა ჯინჯიხაძემ საბჭოს გააცნო მის მიერ მომზადებული მოსაზრებები საბჭოს საქმიანობის მიმართულებებთან დაკავშირებით. მან მოკლედ მიმოიხილა ის საკითხები, რა მიმართულებითაც სავარაუდოდ უნდა იმუშაოს საბჭომ. ესენია: მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მიმართულებით კვლევების მოწყობა, ბიზნესგარემოს შესწავლა, ეკოლოგიურ პრობლემატიკაზე აქცენტების გაკეთება, გრძელვადიანი განვითარების გეგმებზე მუშაობის დაწყება, ქ. ტყიბულისა და სოფლების იერსახის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, სოფლის განვითარების პროგრამების ჩამოყალიბება, ახალგაზრდების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში და სხვა.

აღნიშნული საკითხების განხილვისას საბჭოს წევრების მხრიდან გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები. საბჭოს წევრმა ნიკა წიქრიძემ აღნიშნა, რომ კვლევების მოწყობის საკითხი ძალიან საინტერესოა, თუმცა არსებული რესურსით მათი განხორციელება პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. საბჭოს წევრმა ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია დავიწყოთ კვლევის მარტივი მეთოდებით, გამოკითხვითა და სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელებით. საბჭოს სხვა წევრებმაც გამოთქვეს მზადყოფნა ჩაერთონ საბჭოს საქმიანობის მიმართულებების დახვეწისა და კონკრეტული სამოქმედო გეგმის გაწერის პროცესში.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, შოთა ჯინჯიხაძემ დისკუსიისას აღნიშნა სასოფლო დასახლებების განვითარებისაკენ თვითმმართველობის მხრიდან მეტი ძალისხმევის მიმართვის აუცილებლობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტისათვის ისეთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის, როგორიცაა სოფელი გელათის საკითხს. მისი დიდი ტურისტული, საეკლესიო, საგანმანათლებლო პოტენციალიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე სოფლის განვითარება მიმდინარეობს წინასწარი რეგულაციების გარეშე, რამაც შესაძლებელია სულ მალე პრობლემების წინაშე დაგვაყენოს. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება, განვიხილოთ სოფელ გელათში თვითმმართველობის წარმომადგენლობის გახსნის საკითხი, რადგანაც იქ არსებული უმნიშვნელოვანესი ისტორიული-საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერიდან - გელათის მონასტრიდან გამომდინარე, ხშირია სტუმრიანობა სამთავრობო, საეკლესიო და სხვა სახის

სტრუქტურებიდან. შესაბამისად, ეს დასახლება მუნიციპალიტეტისაგან განსაკუთრებულ მიდგომასა და ყურადღებას საჭიროებს.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს წარმოუდგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში პროექტირების ეტაპზე მყოფი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ, ასევე მან საბჭოს გააცნო მოხსენება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბების შესახებ და შემდგომი საქმიანობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მათი მოსაზრებებიც.

საბჭომ დაადგინა:

1. მიეცეს რეკომენდაცია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს, საბჭოს წევრების მიერ მოწონებული დებულებაში ცვლილებების პროექტის საფუძველზე, მომზადებული იქნას შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს, 2018 წლის 30 აპრილამდე, საბჭოს წარმოუდგინონ საკუთარი მოსაზრებები დღის წესრიგში არსებულ საქმიანობის მიმართულებებთან დაკავშირებით.

შოთა ჯინჯიხაძე
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ ცქიფურიშვილი
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი